| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საქმეთა და ძველთა დაცვის სამსახური   |   |                   |
| პროგრამის აღწერა                       | პროგრამის ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქვეყნის შიგნით სხვადასხვა გასართობი, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, არაფორმალური განათლების და შუახვევის კინოკლუბის განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებები. ხელი წეწყობა წარმატებული ახალგაზრდების მოტივირებას, კონკურენტუნარიანობის და დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას სწორედ მონაწილეობა წარმოადგენს. მაშინ, როცა ახალგაზრდას ექნება მაღალი მოქალაქეობრივი ცოდნა და კომპეტენციები, ის იქნება მოტივირებულიც, რომ ჩაერთოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და იყოს აქტიური მოქალაქე. |   |                   |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მიზანი: ახალგაზრდებში ინტელექტუალური დონის ამაღლება, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარება და სტიმულირება, გადაწყვეტილების მიღების, დაგეგმვის, დამოუკიდებლად და გუნდურად მუშაობის, ორგანიზების უნარების პრაქტიკის დაუფლება, თემის განვითარებაში ახალგაზრდების როლისა და მონაწილეობის გაზრდა.   |   |                   |
|  | შედეგი: პროგრამის განხორციელების შედეგად ახალგაზრდების ინტელექტუალური და კოგნიტური განვითარებისთვის შექმნილია შესაბამისი პირობები, გაზრდილია ინტელექტუალურ-შემეცნებით აქტივობებში ახალგაზრდების მონაწილეობის მაჩვენებელი.  |   |                   |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი   | კულტურის ცენტრის შენობისათვის საოფისე ავეჯის, ტექნიკის და სხვა მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა 98 000 ლარი, პროექტორი, პროექტორის ეკრანის და პროექტორის საკიდის მონტაჟი 4365 ლარი. სცენის ფარსების შეძენა დამონტაჟება 15 000 ლარი. | დაფინანსება ლარში |
|  | 05 02 06   |   | 117 365           |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | შუახვევის მუნიციპალიტეტის მერია  |   |                   |
| პროგრამის აღწერა                       | კულტურის ცენტრის შენობისათვის საოფისე ავეჯის და მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა, სცენის მოწყობისათვის ფარდების შეძენა მონტაჟი, ასევე პროექტორის, პროექტორის ეკრანის და საკიდის მონტაჟი.   |   |                   |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მიზანი: კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლების და სხვა და სხვა ჯგუფების ნორმალური სამუშაო პირობების შექმნა მეტი მოტივაციისთვის. შედეგი: მუნიციპალიტეტს ექნება თანამედროვე კულტურის ცენტრი  |   |                   |

6. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისთვის განისაზღვროს 3 250 843 ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა ლარებში

| № | პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა   | 2024 წლის გეგმა |
|---|-----------------|---|-----------------|
| 1 | 06 00           | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა                                  | 3 250 843       |
| 2 | 06 01           | ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები  | 1 344 400       |
| 3 | 06 01 01        | ოპერაციების და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსების დახმარების პროგრამა | 80 000          |



|    |          |   |           |
|----|----------|---|-----------|
| 4  | 06 01 02 | მოვლის საჭიროების მქონე შშმ პირებისა (ეტლით მოსარგებლე) და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებული (საწოლს მიჯაჭვული) ბენეფიციარებისათვის კვარტალური ფინანსური დახმარება | 60 000    |
| 5  | 06 01 03 | ცერებრალური დამბლით დაავადებუ ბავშვთა აბილიტაცი-რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა   | 100 000   |
| 6  | 06 01 04 | ა(ა)პ შუახევის სოციალური მომსახურების სერვის ცენტრი   | 503 000   |
| 7  | 06 01 05 | ა (ა)პ შუახევის შშმ პირთა დღის ცენტრი   | 204 000   |
| 8  | 06 01 06 | თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის   | 97 400    |
| 9  | 06 01 07 | მოწყლადი სოციალური ჯგუფების მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა   | 300 000   |
| 10 | 06 02    | სოციალური დაცვის ღონისძიებები   | 1 906 443 |
| 11 | 06 02 01 | “სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა”  | 50 000    |
| 12 | 06 02 03 | ამბულატორიული და სტაციონალური მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა   | 30 000    |
| 13 | 06 02 04 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 4 და მეტ 18 წლამდე ასაკის მრავალშვილიან ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა   | 60 000    |
| 14 | 06 02 05 | გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისათვის გასაცემი ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა   | 38 250    |
| 15 | 06 02 06 | უკიდურესად გაჭირვებული, ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე და უსახლკარო ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნობრივი პროგრამა                                      | 153 000   |
| 16 | 06 02 07 | შუახევის მუნიციპალიტეტში მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა   | 10 000    |
| 17 | 06 02 08 | ვეტერანების გაზით უზრუნველყოფის, ვეტერენტა დღის აღნიშვნის და მატერიალური დახმარების პროგრამა  | 52 000    |
| 18 | 06 02 09 | 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციფიკური სამკურნალო კვების პროდუქტების შემენისათვის ფინანსური დახმარების მიზნობრივი პროგრამა  | 12 000    |
| 19 | 06 02 11 | დიალიზის პროგრამაში ჩართული შუახევის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მგზავრობის დაფინანსების მიზნობრივი პროგრამა  | 60 000    |
| 20 | 06 02 12 | სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლის სახურავების შექმნა  | 40 000    |
| 21 | 06 02 13 | ლატაკი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა   | 6 500     |
| 22 | 06 02 14 | მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთათვის დახმარების   | 44 400    |



|  |   |   |                     |
|--|---|---|---------------------|
|  |   | მიზნობრივი პროგრამა   |                     |
| 23                                     | 06 02 15  | მეწიერსაწინააღმდეგო ღონისძიებები  | 1 350 293           |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი  | ჯანმრთელობის დაცვა  | დაფინანსება ლარებში |
|  | 06 01   |   | 1 344 400           |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური   |   |                     |
| პროგრამის აღწერა                       | <p>ოპერაციების და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა; მოვლის საჭიროების მქონე შშმ პირებისა (ეტლით მოსარგებლე) და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებული (საწოლს მიჯაჭვული) ბენეფიციარებისათვის კვარტალური ფინანსური დახმარება; ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის და ადრეული განვითარების ბავშვთა კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა; თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის; მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა; ა(ა)იპ შუახევის სოციალური მომსახურების სერვის ცენტრი ა (ა)იპ შუახევის შშმ პირთა დღის ცენტრი</p> |   |                     |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | <p>მიზანი: მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა</p> <p>შედეგი: ჯანმრთელობის დაცვის სხვადასხვა სერვისებზე ხელმისაწვდომობა</p>  |   |                     |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი  | ოპერაციების და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსების დახმარების პროგრამა   | დაფინანსება ლარებში |
|  | 06 01 01  |   | 80 000              |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური   |   |                     |
| პროგრამის აღწერა                       | <p>მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე, შემუშავდა აღნიშნული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საყოველთაო დაზღვევით და აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსების მიუხედავად დანაკლისის შევსებას. აღნიშნული პროგრამა 2021 წელს პირველად ამოქმედდა, პროგრამა ითვალისწინებს თანადაფინანსებას 0 დან 100 000 ლარამდე 70 %-იან დაფინანსებას, ხოლო 100 000-დან 200 000-მდე ლარის ჩათვლით 50 %-იან დაფინანსებას, არაუმეტეს 700 ლარისა.</p> <p>პროგრამა არ ითვალისწინებს არჩეული ექიმის ჰონორარის ანაზღაურებას, ასევე უკვე გადახდილი თანხის ანაზღაურებას და პლასტიკური ქირურგიის დაფინანსებას.</p>   |   |                     |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | <p>მიზანი: მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა</p> <p>შედეგი: ჯანმრთელობის დაცვა</p>   |   |                     |
| საჭირო დოკუმენტაცია                    | <ol style="list-style-type: none"> <li>განცხადება მერის სახელზე;</li> <li>პირადობის მოწმობის ქსეროასლი;</li> <li>ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა #100</li> <li>კლინიკიდან ან სააფთიაქო ქსელიდან გაცემული ფორმა მკურნალობის ღირებულების შესახებ-ანგარიშფაქტურა;</li> <li>ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ.</li> </ol>  |   |                     |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი  | მოვლის საჭიროების მქონე შშმ პირებისა (ეტლით მოსარგებლე) და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებული (საწოლს მიჯაჭვული) ბენეფიციარებისათვის კვარტალური ფინანსური დახმარება | დაფინანსება ლარებში |
|  | 06 01 02  |   | 60 000              |
| პროგრამის განმახორციელებელი            | ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური   |   |                     |



|  |   |   |                     |
|--|---|---|---------------------|
| სამსახური                              |   |   |                     |
| პროგრამის აღწერა                       | აღნიშნული პროგრამა 2021 წელს პირველად ამოქმედდა. მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე გაჩნდა ამის აუცილებლობა, რომ ბენეფიციარებს გაეწიოთ ფინანსური დახმარება 0-დან 200 000 ლარის ჩათვლით შპმ პირებს, საწოლ მიჯაჭვულებს და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებულ ბენეფიციარებს, პირადი ჰიგიენის მოწესრიგების მიზნით, ასევე სამედიცინო საგნების შესაძენად. პროგრამა გათვლილია 71 ბენეფიციარზე, რომელიც ითვალისწინებს ერთ ბენეფიციარზე კვარტალურად 150 ლარიან ფინანსურ დახმარებას.   |   |                     |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მიზანი: ჯანმრთელობის დაცვა<br>შედეგი: ჯანმრთელობის მდგომარეობის შემსუბუქება   |   |                     |
| საჭირო დოკუმენტაცია                    | <ol style="list-style-type: none"> <li>1. განცხადება მერის სახელზე;</li> <li>2. პირადობის მოწმობის ქსეროასლი;</li> <li>3. შპმ პირის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან არსებობის შემთხვევაში;</li> <li>4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა #100;</li> <li>5. ანგარიშფაქტურა ავთიაქიდან;</li> <li>6. განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები;</li> <li>7. ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ.</li> </ol>   |   |                     |
| შენიშვნა                               | მოვლის საჭიროების საგნების საფასური გაიცემა კვარტალურად ბენეფიციარის საბანკო ანგარიშზე.   |   |                     |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი  | „ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცი-რეაბილიტაციის, ადრეული განვითარების და აუტიზმით დაავადებულ ბავშვთა კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის“ მიზნობრივი პროგრამა | დაფინანსება ლარებში |
|  | 06 01 03  |   | 100 000             |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური   |   |                     |
| პროგრამის აღწერა                       | პროგრამა ითვალისწინებს 18 წლამდე ასაკის ცერებრალური დამბლით დაავადებულ და 0-დან 7 წლამდე ადრეული განვითარების ბავშვთა, ასევე აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობას, აჭარის ა. რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამა ითვალისწინებს კურსების დაფინანსებას, ხოლო მუნიციპალიტეტი მათი მგზავრობის ღირებულების ანაზღაურებას ორმხრივად თანმხლებ პირთან ერთად. აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარებს საკმაოდ ძვირი უჯდებათ კურსებზე მიმოსვლა, ამიტომ მერიამ გამოიჩინა კეთილი ნება და გადაწყვიტა მათი მგზავრობის ღირებულების ანაზღაურება. |   |                     |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მიზანი: შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ცერებრალური დამბლით დაავადებულ და ადრეული განვითარების ბავშვთა კურსებზე მიმოსვლისათვის მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას.<br>შედეგი: ბენეფიციართა კმაყოფილების დონე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება  |   |                     |
| საჭირო დოკუმენტაცია                    | 1. ცერებრალური დამბლით, ან აუტისტური სპექტრით და ადრეული განვითარების მქონე დაავადებულ ბავშვთა მშობლების განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;  |   |                     |
|  | 2. აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ვაუჩერის ქსეროასლი;  |   |                     |
|  | 3.სარეაბილიტაციო ცენტრების მიერ გაცემული ცნობა კურსების გავლის შესახებ;   |   |                     |
|  | 4. ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა და მშობელთა პირადობის მოწმობის ქსეროასლი;   |   |                     |
|  | 5.შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის ფლობის შესახებ ან/და სოციალური მომსახურების სააგენტოს შუახვევის სამსახურის მიერ გაცემული ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან.   |   |                     |





|  |   |   |                     |
|--|---|---|---------------------|
|  | 6. საბანკო რეკვიზიტები.   |   |                     |
| შენიშვნა                               | შენიშვნა: პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა შეიძლება შემცირდეს მოსარგებლე პირის საცხოვრებელი ადგილის შეცვლის, ან შეიძლება გაიზარდოს მოქალაქის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.   |   |                     |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი  | ა(ა)იპ შუახევის სოციალური სერვისების ცენტრი   | დაფინანსება ლარებში |
|  | 06 01 04  |   | 503 000             |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ა(ა)იპ შუახევის სოციალური სერვისების ცენტრი   |   |                     |
| პროგრამის აღწერა                       | <p>შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში, გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გართულებულია, რამაც გამოიწვია მათთვის ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების გაწევის ორგანიზების აუცილებლობა, მომსახურება ეწევა შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობას, ექიმამდელი სამედიცინო დახმარებას ძირითადად უწევს ადგილობრივი მცხოვრები პირი, რომელსაც აქვს საშუალო სამედიცინო განათლება. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მომსახურების ელექტრონული ტენდერით შესყიდვის განხორციელება შეუძლებელია. ამასთან, პროგრამით გათვალისწინებული თანხები ზუსტად არის გათვლილი კონკრეტულ ღონისძიებაზე (მედეების ხელფასები - თვეში 250 (ორასორმოცდაათი) ლარი და არ ითვალისწინებს მისი მართვისათვის დამატებით თანხებს. ამასთანავე, აღნიშნული ა(ა)იპ ახორციელებს მომსახურებას სოფლის ექიმებზე, ექიმის ჩანთით გათვალისწინებული მედიკამენტებით და სოფლის ექიმებზე გამოყოფილ ავტომანქანებზე საწვავით უზრუნველყოფას.</p> |   |                     |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | <p>მიზანი: შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის პირველადი მედიკამენტების მიწოდება და დროული დახმარების გაწევა</p> <p>შედეგი: ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება</p>   |   |                     |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი  | ა(ა)იპ შუახევის შშმ პირთა დღის ცენტრი   | დაფინანსება ლარებში |
|  | 06 01 05  |   | 204 000             |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ა(ა)იპ შუახევის შშმ პირთა დღის ცენტრი   |   |                     |
| პროგრამის აღწერა                       | <p>აღნიშნული ორგანიზაცია ემსახურება შშმ პირებს 6-დან 18 წლამდე, მომსახურება ხორციელდება კვირაში 5 დღის განმავლობაში, 10-დან 18 საათამდე და აქედან ბენეფიციარების ცენტრში გატარებული დრო არ უნდა იყოს 3 საათზე ნაკლები და 6 საათზე მეტი, დღის ცენტრი გათვლილია 20 ბენეფიციარზე, ცენტრი ასევე ბენეფიციარებს სთავაზობს დღეში ერთჯერად სამ კომპონენტთან კვებას და ტრანსპორტით უზრუნველყოფას. ცენტრი მთლიანად არის ადაპტირებული შშმ პირთათვის. ცენტრის მომსახურება გულისხმობს შშმ პირთა საჭიროებების (შემეცნებითი-ემოციური და ფიზიკური) გამოვლენას და მათი დაკმაყოფილებას, შშმ პირთა კულტურულ და სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვის უზრუნველყოფას, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას. ცენტრი ასევე ახორციელებს სხვადასხვა ტიპის მომსახურებას, როგორც ფსიქოლოგის, ასევე ოკუპაციური თერაპევტის და სპეც- მასწავლებლის მომსახურებას.</p>   |   |                     |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | <p>მიზანი: შშმ პირების ინტეგრაცია საზოგადოებაში, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარებისა და სოციალური ინკლუზივის განვითარების ხელშეწყობა.</p> <p>შედეგი: შშმ პირების არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება, საჭირო უნარების განვითარება და ხელშეწყობა, მიტოვების პრევენცია.</p>   |   |                     |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი  | თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მიმემ ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის | დაფინანსება ლარებში |
|  | 06 01 06  |   | 97 400              |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური   |   |                     |
|  | <p>აჭარის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში შუახევის მუნიციპალიტეტიდან ამბულატორიულ აღრიცხვაზე 802 პაციენტი, აქედან წლის განმავლობაში აქტიურად და რეგულარულად ამბულატორიას მიმართავს თვის განმავლობაში 200-მდე პაციენტი, რაც ძალიან მცირეა და ამის ძირითადი მიზეზი არასათანადოდ განვითარებული</p>   |   |                     |



|  |   |   |   |
|--|---|---|---|
| პროგრამის აღწერა                       | <p>ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემა, რომელშიც არ არის გათვალისწინებული მომსახურების უწყვეტობისა და საფეხურებრივი ზრუნვის პრინციპები. საფეხურებრივი და უწყვეტი მომსახურების განხორციელება სათემო სერვისების განვითარების გარეშე შეუძლებელია, სწორედ ამიტომაცაა საჭირო მობილური გუნდის მომსახურების დამატება ამბულატორიულ სერვისში. მობილური გუნდი ემსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს, რომლებიც ხშირად ან ხანგრძლივი დროით თავსდებათ სტაციონარში, ხოლო სტაციონარიდან გაწერის შემდეგ არ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას, წყვეტენ მკურნალობას, რაც ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის გაუარესებას იწვევს. გარდა ამისა ამ მომსახურებით იზრდება ტერიტორიული ხელმისაწვდომობა და ამავე დროს ცალსახად შეუმსუბუქდება ხარჯები ამბულატორიულ დისპანსერულ მეთვალყურეობას. 2013 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ფსიქიკური ჯანდაცვის კონცეფციის დოკუმენტში, ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემის განვითარების ძირითადი პრინციპებია განსაზღვრული, რაც მოიცავს: დაბალანსებულ ზრუნვას, მომსახურების ინტეგრაციას, უწყვეტობასა და თანმიმდევრულობას. თანამედროვე ფსიქიატრიული მომსახურება ეს არის დაბალანსებული მომსახურება თემზე და ჰოსპიტალურ მომსახურებაზე დაფუძნებულ ზრუნვას შორის. გარდა ფსიქიკური ჯანმრთელობისა ეს პროექტი შეძლებს შეუმსუბუქოს პაციენტს და მათ ოჯახებს სოციალური მდგომარეობა, როგორც ფინანსური დანახარჯების, ასევე დროის ეკონომიითაც. ფსიქიკური პრობლემის მქონე ადამიანი რაიონიდან ამბულატორიაში ვიზიტისთვის (განსაკუთრებით ის კატეგორია პაციენტების ვინც შეირჩევა მდგ-ს მიერ, საჭიროებს თანმხლებ პირს, რაც ოჯახისთვის ორმაგი დანახარჯია, გარდა ამისა ოჯახი რომელიც უმეტესწილად სოფლად და რაიონში სოფლის მეურნეობით არის დაკავებული კარგავს დროს, რადგან ასეთი მარშრუტის გამო მთელი დღე და ხშირად ორიც ჭირდება თუ „დააგვიანდა სოფლის ტრანსპორტის გასვლის საათებში. სოფლად ასეთი „მოუცლევლობის გამო ხშირად პაციენტი თვეების განმავლობაში ვერ აკითხავს ამბულატორიას, შედეგად კი ეს შემდგომში პაციენტის გამწვავებით და სტაციონარებით სრულდება, რაც სახელმწიფოს, როგორც აღვნიშნეთ გაცილებით ძვირი უჯდება. ამიტომ მობილური გუნდის სერვისი არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ჯანმრთელობისთვის მომსახურების პროგრამა, პარალელურად მას სოციალური პროგრამის დატვირთვაც ეძლევა.</p> |   |   |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | <p>მიზანი: -შეამციროს ფსიქოპათოლოგიური მდგომარეობის გამწვავების სიხშირე; შეამციროს ძალადობრივი ქცევის</p> <p>თავის მიმართ ან ირგვლივმყოფების მიმართ რისკი; შეამციროს სტაციონირების სიხშირე. ხელი შეუწყოს ხანგრძლივი რემისიისა და სტაბილიზაციის პერიოდის შენარჩუნებას; ოჯახისა და პაციენტის ფსიქოგანათლებითა და მათთან თერაპიული ურთიერთობის დამყარებით ხელი შეუწყოს პაციენტის ინსაიტის გაზრდას, რაც პაციენტის მობილური გუნდიდან ამბულატორიულ სერვისში გადასვლას უზრუნველყოფს. ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტების მიწოდების უზრუნველყოფას.</p> <p>შედეგი: მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ჩატარებული საჭირო ღონისძიებები</p>   |   |   |
| პროგრამის დასახელება                   | <p>კოდი</p> <p>06 01 07</p>   | <p>მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა</p> | <p>დაფინანსება ლარებში</p> <p>300 000</p> |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | <p>ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>  |   |   |
| პროგრამის აღწერა                       | <p>საქართველოს მოსახლეობისთვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მთელი რიგი სახელმწიფო (სამედიცინო) პროგრამებით. მიუხედავად ამისა COVID-19 პანდემიის დროს ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისა და მოწყვლადი კატეგორიის მქონე ბენეფიციარებისთვის მედიკამენტების მიწოდება სიცოცხლისთვის აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და მოწყვლადი კატეგორიის მქონე მოსახლეობას მედიკამენტების შექმნა არ შეუძლია. აქედან გამომდინარე შუახვევის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა შესაბამისი ოჯახებისთვის - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 0-დან 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ომის ვეტერანები, საქართველოს მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები), მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები, მარტოხელა მშობლები და მათი შვილები, მარტოხელა ასაკით პენსიონერები, რომლებიც უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ მკურნალობის ჩატარებას. მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ბენეფიციარები, რომლებიც საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობას წელიწადში ერთხელ ოჯახზე მიიღებენ 200 ლარიან დახმარებას ვაუჩერის სახით - მედიკამენტების შესაძენად. იმ შემთხვევაში თუ ოჯახში არის ორი შშმ პირი, ორი ვეტერანი, სოციალურად დაუცველი და შშმ პირი/ვეტერანი, მათ მიეცემა ორი 200 ლარიანი ვაუჩერი.</p>   |   |   |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | <p>მიზანი: სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება</p> <p>შედეგი: კმაყოფილების დონე</p>   |   |   |
| საჭირო                                 | <ol style="list-style-type: none"> <li>1. განცხადება მერის სახელზე;</li> <li>2. პირადობის მოწმობის ქსერო-ასლი;</li> <li>3. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ-ფორმა #100;</li> <li>4. ანგარიშგაქტურა ავთიაქიდან;</li> </ol>  |   |   |



|  |   |  |                     |
|--|---|--|---------------------|
| დოკუმენტაცია                           | <p>5. ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან, ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ;</p> <p>6. ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან, შესაბამისი სტატუსის შესახებ;</p> <p>7. ჩამოთვლილთაგან რომელიმე სტატუსის არსებობის შემთხვევაში შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი.</p>  |  |                     |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი  | სოციალური დაცვის ღონისძიებები  | დაფინანსება ლარებში |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური   |  |                     |
| პროგრამის აღწერა                       | <p>სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოთხ და მეტ მცირეწლოვან (18 წლამდე) ასაკის ბავშვთა ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა; გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის გასაცემი ელთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა; უკიდურესად გაჭირვებული, ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე და უსახლკარო ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნობრივი პროგრამა; ვეტერანების გაზით უზრუნველყოფის და მატერიალური დახმარების პროგრამა;</p> <p>18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციფიკური სამკურნალო კვების პროდუქტების შეძენისათვის ფინანსური დახმარების მიზნობრივი პროგრამა; შშმ პირთა პერსონალური ასისტენტისა და შინმყოფის პროგრამა; დიალიზის პროგრამაში ჩართული შუახვევის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მგზავრობის დაფინანსების მიზნობრივი პროგრამა; სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლის სახურავების შექმნა; მარტოხელა შობილის სტატუსის მქონე პირთათვის დახმარების მიზნობრივი პროგრამა; მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები</p> |  |                     |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | <p>მიზანი: საზოგადოების ცალკეული ფენების სოციალური მდგომარეობისა და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება</p> <p>შედეგი: გაუმჯობესებულია საზოგადოების ცალკეული ფენების სოციალური პირობები</p>  |  |                     |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი  | “სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა” | დაფინანსება ლარებში |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური   |  |                     |
| პროგრამის აღწერა                       | <p>შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრობს უკიდურესად გაჭირვებულ მოქალაქეთა უმწეო ფენები, რომლებსაც არ გააჩნიათ სრულფასოვანი თვითუზრუნველყოფის საშუალება, საჭიროებენ მზრუნველობას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვის მიზნით შუახვევის მუნიციპალიტეტში, კერძოდ დაბა შუახვევში განკუთვნილია სასადილო, რომელიც ემსახურება 42 ბენეფიციარს უფასო ერთჯერადი ცხელი საკვებით. პროგრამა მოქმედებს 2005 წლიდან. უფასო სასადილოს პროგრამით სარგებლობენ შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენს 0-დან 70 000-ქულის ჩათვლით. მიმდინარე პროგრამაში კვებით უზრუნველყოფა განხორციელდება ერთჯერადად ყოველდღიურად (წელიდადში 366 დღის) განმავლობაში მენიუს შესაბამისად.</p>   |  |                     |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | <p>მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ, უმწეო მოქალაქეთა ყოველდღიური უფასო სადილით უზრუნველყოფა</p> <p>შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ, უმწეო მოქალაქეთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება</p>   |  |                     |
| საჭირო დოკუმენტაცია                    | <p>1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;</p> <p>2. პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად;</p>   |  |                     |



|  |   |   |                     |
|--|---|---|---------------------|
|  | 3. ოჯახის სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი ცნობა შუახვევის სოციალური მომსახურების სააგენტოდან.  |   |                     |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი  | ამბულატორიული და სტაციონალური მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა   | დაფინანსება ლარებში |
|  | 06 02 03  |   | 30 000              |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური   |   |                     |
| პროგრამის აღწერა                       | <p>COVID-19 პანდემიის დროს ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისა და მოწყვლადი კატეგორიის მქონე ბენეფიციარებისთვის მედიკამენტების მიწოდება სიცოცხლისთვის აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და გარკვეული კატეგორიის მქონე მოსახლეობას მედიკამენტების შეძენა არ შეუძლია. აქედან გამომდინარე შუახვევის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა შესაბამისი ოჯახებისთვის -</p> <p>პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მედიკამენტებით უზრუნველყოფას იმ ოჯახებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 100 000-დან - 200 000-მდე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს მძიმე სენით დაავადებულ ბნეფიციარებზე, არაუმეტეს 150 ლარისა.</p>  |   |                     |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | <p>მიზანი: ჯანმრთელობის მდგომარეობის დაცვა</p> <p>შედეგი: ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება</p>  |   |                     |
| საჭირო დოკუმენტაცია                    | <ol style="list-style-type: none"> <li>1. განცხადება მერის სახელზე;</li> <li>2. პირადობის მოწმობის ქსერო-ასლი;</li> <li>3. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ-ფორმა #100;</li> <li>4. ანგარიშფაქტურა ავთიაქიდან;</li> <li>5. ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან ოჯახის სარეიტინგო ქულების შესახებ.</li> </ol>  |   |                     |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი  | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოთხ და მეტ მცირეწლოვან (18 წლამდე) ასაკის ბავშვთა ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა | დაფინანსება ლარებში |
|  | 06 02 04  |   | 60 000              |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური   |   |                     |
| პროგრამის აღწერა                       | <p>ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუსაქმებელია, მათი სოციალური დაცვის მიზნით ქვეყანაში გარკვეული ღონისძიებები ტარდება, საჭიროა დამატებითი ღონისძიების განხორციელება. მოსახლეობაში სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების სიმძიმის მხრივ ყველაზე მეტად გამოირჩევა მრავალშვილიანი ოჯახები, არასრულწლოვანი ბავშვებით, ასეთი ოჯახების ძირითადი ნაწილი შედგება სასკოლო ასაკის ბავშვებისაგან. პროგრამის მიზანია აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება. გასულ წლებში ანალოგიური პროგრამა განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში, ასეთ ოჯახებს გაეწიათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ცალკეულ ოჯახთა სოციალური მდგომარეობა. 2023 წელს აღნიშნული კატეგორიის გაჭირვებული ოჯახები, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, კვლავ საჭიროებს ერთჯერად ფინანსურ დახმარებას.</p> |   |                     |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | <p>მიზანი: მრავალშვილიან ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა</p> <p>შედეგი: მრავალშვილიანი ოჯახების საჭიროებების დაკმაყოფილების ხელშეწყობა</p>   |   |                     |
|  | <ol style="list-style-type: none"> <li>2.1 განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;</li> <li>2.2. მშობლების პირადობის მოწმობის ქსეროასლები, დედანთან ერთად;</li> <li>2.3. მშობლების ქორწინების მოწმობის ქსეროასლი დედანთან ერთად;</li> <li>2.4. ბავშვების დაბადების მოწმობის ქსეროასლები დედანთან ერთად;</li> <li>2.5. ერთერთი მშობლის სახელზე ბანკში გახსნილი ანგარიშის ნომერი;</li> </ol>  |   |                     |



|  |   |  |                                |
|--|---|--|--------------------------------|
| საჭირო დოკუმენტაცია                    | <p>2.6. შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის ფლობის შესახებ ან სოციალური მომსახურების სააგენტოს შუახვევის სამსახურის მიერ გაცემული ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან ან/და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის წერილობითი დოკუმენტი). თუ დახმარების მიღების მსურველი ან ერთ-ერთი მშობელი რეგისტრირებულია სხვა მუნიციპალიტეტში, უნდა წარმოადგინოს ცნობა მასზე, რომ აღნიშნული პროგრამით იმ მუნიციპალიტეტისაგან დახმარება არ მიუღია.</p> <p>2.7. თუ დახმარების მიღების მსურველი განქორწინებულია, უნდა წარმოადგინოს ქორწინების შეწყვეტის და ბავშვზე მეურვეობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.</p> |  |                                |
| შენიშვნა                               | 1.პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა შეიძლება შემცირდეს მოსარგებლე პირი საცხოვრებელი ადგილის შეცვლის, ან შეიძლება გაიზარდოს მოსარგებლე პირის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.   |  |                                |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი<br>06 02 05  | გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის გასაცემი ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა                           | დაფინანსება ლარებში<br>38 250  |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური   |  |                                |
| პროგრამის აღწერა                       | <p>ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუსაქმებელია, მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არ გააჩნია გარდაცვლილი ოჯახის წევრის დასაფლავების ხარჯები, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება ქვეყნის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, ამ მიზნით ქვეყანაში შემუშავდა სხვადასხვა სახის პროგრამები. 0-დან 100 000 ლარის მქონე ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტის მერიამ დამატებით შეიმუშავა ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა. (კოვიდ ინფიცირებულების გარდაცვლილებზე სარეიტინგო ქულა არ მოქმედებს)</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს ფინანსურ დახმარებას 450 ლარის ოდენობით.</p>  |  |                                |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | <p>მიზანი: გაჭირვებულ ოჯახებში, გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა</p> <p>შედეგი: დაკრძალვის ხარჯებისთვის, ფინანსური უზრუნველყოფა</p>   |  |                                |
| საჭირო დოკუმენტაცია                    | <ol style="list-style-type: none"> <li>1. ოჯახის წევრის გაცხადება მერის სახელზე;</li> <li>2. პირადობის მოწმობის ქსეროასლი; დედანთან ერთად;</li> <li>3. გარდაცვალების მოწმობის ქსეროასლი; დედანთან ერთად;</li> <li>4. განმცხადებლის სახელზე ბანკში გახსნილი ანგარიში;</li> <li>5. სოციალური მომსახურების სააგენტოს შუახვევის რაიონული განყოფილების მიერ გაცემული ცნობა ოჯახის სარეიტინგო ქულის თაობაზე.</li> </ol>   |  |                                |
| შენიშვნა                               | შენიშვნა: -2022 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში გარდაცვლილი პირის ოჯახზე, რომელმაც გარკვეული მიზეზების გამო დროულად ვერ წარმოადგინა, ან წარმოადგინა ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მაგრამ პროგრამაში თანხის ამოწურვის გამო ვერ გაეწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება, პროგრამით გათვალისწინებული დახმარება განხორციელდეს 2023 წლის პროგრამის ბიუჯეტიდან იანვრ-თებერვლის თვეებში, 2022 წლისათვის პროგრამით გათვალისწინებული თანხის ოდენობით.   |  |                                |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი<br>06 02 06  | უკიდურესად გაჭირვებული, ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე და უსახლკარო ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნობრივი პროგრამა | დაფინანსება ლარებში<br>153 000 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური   |  |                                |



|  |  |   |                     |
|--|--|---|---------------------|
| პროგრამის აღწერა                       | მუნიციპალიტეტში ცხოვრობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კატეგორია, რომელთა საცხოვრებელი სახლების სიძველით ამორტიზირებულია და საცხოვრებლად საფრთხეს წარმოადგენს, ასევე ცხოვრობს უსახლკარო ოჯახები, რომლებსაც გააჩნიათ მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად. ვინაიდან აღნიშნულ ოჯახებს არ გააჩნიათ ახალი საცხოვრებლის სახლების აშენების ან აღდგენის რესურსი, მუნიციპალიტეტის მერია სოფლის მოსახლეობასთან ერთად და თანამონაწილეობით (შრომითი თანამონაწილეობით), მათ გაუწევს ფინანსურ დახმარებას. ბენეფიციართა შერჩევა მოხდება შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. პროგრამაში ჩაერთვება 0-დან 100 000-მდე ქულის მქონე ოჯახები. შერჩევის დროს უპირატესობა მიენიჭება იმ ოჯახებს, სადაც ცხოვრობენ შშმ სტატუსის მქონე პირები, მრავალშვილიანი ოჯახები.  |   |                     |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მიზანი: სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე, რომელთა საცხოვრებელი სახლების სიძველით ამორტიზირებულია და საცხოვრებლად საფრთხეს წარმოადგენს, ასევე უსახლკარო ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევა. შედეგი: სოციალურად დაუცველი და უსახლკარო მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება  |   |                     |
| საჭირო დოკუმენტაცია                    | <ol style="list-style-type: none"> <li>1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;</li> <li>2. ოჯახის ყველა წევრის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად და არასრულწლოვნების დაბადების მოწმობის ასლი;</li> <li>3. ოჯახის სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი ცნობა შუახევის სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან.</li> <li>4. გეოლოგიური დასკვნა არსებობის შემთხვევაში.</li> </ol>   |   |                     |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი   | შუახევის მუნიციპალიტეტში მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა | დაფინანსება ლარებში |
|  | 06 02 07   |   | 10 000              |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური  |   |                     |
| პროგრამის აღწერა                       | პროგრამა ითვალისწინებს მოწყვლადი ჯგუფების, ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერას, რომელთა საცხოვრებელი სახლი და გარემო პირობები არ არის უსაფრთხო, აგრეთვე საყოფაცხოვრებო პირობები არ აქვთ სათანადო, შესაბამისი სპეციალისტების მიერ განხორციელებული შეფასების შედეგად გამოკვეთილი საჭიროებების უზრუნველყოფას   |   |                     |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მიზანი: ბავშვთა უფლებების დაცვა, ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერა და გაძლიერება.<br>შედეგი: კმაყოფილი ოჯახები, ბავშვების საჭიროებების უზრუნველყოფა  |   |                     |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი   | ვეტერანების გაზით უზრუნველყოფის, ვეტერენტა დღის აღნიშვნის და მატერიალური დახმარების პროგრამა            | დაფინანსება ლარებში |
|  | 06 02 08   |   | 52 000              |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური  |   |                     |
| პროგრამის აღწერა                       | <p>ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა სამშობლოს წინაშე ღვაწლმოსილ ადამიანებს. კერძოდ: ომში დაღუპულებსა და ვეტერანებს. ბევრი რამ კეთდება მათი საყოფაცხოვრებო პირობების და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებულების და ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებისთვის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს გარკვეულ ოჯახებზე მატერიალური და ფინანსური დახმარების გაწევას. პროგრამას არეგულირებს 1995 წლის ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ საქართველოს კანონის და 2000 წლის საქართველოს კანონი, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ და აფხაზეთის ომში უგზოუკვლოდ დაკარგულ მეომართა ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 1000 ლარის ოდენობით. პროგრამა ასევე ითვალისწინებს ვეტერანთათვის თხევადი აირით უზრუნველყოფას კვარტალში ერთხელ 15 კგ, ხოლო მეოთხე კვარტალში გაიცემა 20 კგ.</p> |   |                     |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მიზანი: ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთათვის მატერიალური დახმარება<br>შედეგი: ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება   |   |                     |



|  |  |   |                               |
|--|--|---|-------------------------------|
| საჭირო დოკუმენტაცია                    | 1 განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;<br>2 პირადობისა და ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობების ქსეროასლები.   |   |                               |
| შენიშვნა                               | შენიშვნა: პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა შეიძლება შემცირდეს მოსარგებლე პირის გარდაცვალების, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის, ან შეიძლება გაიზარდოს მოსარგებლე პირის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.  |   |                               |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი<br>06 02 09   | 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციფიკური სამკურნალო კვების პროდუქტების შეძენისთვის ფინანსური დახმარების მიზნობრივი პროგრამა | დაფინანსება ლარებში<br>12 000 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური  |   |                               |
| პროგრამის აღწერა                       | ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუსაქმებელია, მათი სოციალური დაცვის მიზნით ქვეყანაში გარკვეული ღონისძიებები ტარდება, საჭიროა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ: მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახები, რომლებიც სპეციფიკური-სამკურნალო კვების მიწოდების მიზნით საჭიროებენ ფინანსურ დახმარებას, ვინაიდან აღნიშნული პროდუქტების შეძენა დაკავშირებულია დიდ თანხებთან. ოჯახებს სპეციფიკური-სამკურნალო დანიშნულების პროდუქტების შესაძენად საკუთარი ფინანსური სახსრები არ გააჩნიათ. გამომდინარე აქედან მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებზე სპეციფიკური-სამკურნალო კვების პროდუქტების კვარტალურად (სამ თვეში ერთხელ) გაუწიოს ფინანსური დახმარება.  |   |                               |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მიზანი: სპეციფიკური-სამკურნალო კვების პროდუქტების შეძენის მიზნით ფინანსური დახმარება<br>შედეგი: ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა და მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება   |   |                               |
| საჭირო დოკუმენტაცია                    | 1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;<br>2. მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი, არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ქსეროასლი დედანთან ერთად და ერთ-ერთი მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;<br>3. ერთერთი მშობლის სახელზე ბანკში გახსნილი ანგარიშის ნომერი;<br>4. ექიმის მიერ გაცემული ფორმა N100, სადაც მითითებული იქნება, რომ მოქალაქე ნამდვილად საჭიროებს სპეციფიკურ-სამკურნალო კვების პროდუქტებს;<br>5. ფორმა N 86, ანგარიშ-ფაქტურა, კვების პროდუქტების ჩამონათვალი.  |   |                               |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი<br>06 02 11   | დიალიზის პროგრამაში ჩართული შუახვევის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მგზავრობის დაფინანსების მიზნობრივი პროგრამა             | დაფინანსება ლარებში<br>60 000 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური  |   |                               |
| პროგრამის აღწერა                       | პროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარის ქ. ბათუმის კლინიკებში დიალიზის სეანსების ჩასატარებლად მგზავრობისათვის ფინანსურ დახმარებას. მგზავრობის ხარჯი ერთ ბენეფიციარზე გათვლილია შუახვევის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიერ მოწოდებული მგზავრობის ღირებულების მიხედვით, (პაციენტები ყოველთვიურად იტარებენ 13-მდე დიალიზის სეანსს), ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვს მგზავრობის ხარჯები, ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და უწევთ ორი სახის ტრანსპორტის შეცვლა. პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნება. ამასთან ერთად თუ ბენეფიციარი წარმოადგენს ცნობას რომ მას ნამდვილად ესაჭიროება თანმხლები პირი მგზავრობისას, შესაბამისად მოხდება თანმხლები პირის მგზავრობის ხარჯის ანაზღაურება. შუახვევის მუნიციპალიტიდან 12 ბენეფიციარი მკურნალობს, პროგრამა შედგენილი იქნა დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების მომართვის საფუძველზე. |   |                               |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მიზანი: შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების მგზავრობის ხარჯით უზრუნველყოფა<br>შედეგი: ბენეფიციართა კმაყოფილების დონის გაზრდა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება  |   |                               |



|  |   |  |                     |
|--|---|--|---------------------|
| საჭირო დოკუმენტაცია                    | <ol style="list-style-type: none"> <li>1. დიალიზით დაავადებული მოქალაქის მიერ დაწერილი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;</li> <li>2. შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა (ფორმა #100);</li> <li>3. დიალიზით დაავადებული მოქალაქის პირადობის მოწმობის ქსეროასლი. დედანთან ერთად;</li> <li>4. საბანკო რეკვიზიტები.</li> </ol>   |  |                     |
| შენიშვნა                               | შენიშვნა: პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა შეიძლება შემცირდეს მოსარგებლე პირის გარდაცვალების, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის, ან შეიძლება გაიზარდოს მოქალაქის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.  |  |                     |
| საჭირო დოკუმენტაცია                    | <ol style="list-style-type: none"> <li>1. განცხადება მერის სახელზე;</li> <li>2. პირადობის მოწმობის ქსეროასლი;</li> <li>3. ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ.</li> </ol>  |  |                     |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი  | სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლის სახურავების ძეძენა | დაფინანსება ლარებში |
|  | 06 02 12  |  | 40 000              |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური   |  |                     |
| პროგრამის აღწერა                       | პროგრამა ითვალისწინებს სარეიტინგო ქულის 0-დან 150 000-ის ჩათვლით ოჯახებზე საცხოვრებელი სახლებისთვის თუნუქის ფურცლებით უზრუნველყოფას, უპირატესობა ენიჭება ოჯახებს, სადაც შშმ პირები ცხოვრობენ, ასევე მრავალშვილიან ოჯახებს.  |  |                     |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მიზანი: თუნუქის ფურცლებით უზრუნველყოფა.<br>შედეგი: კმაყოფილი მოსახლეობა.  |  |                     |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი  | ლატაკი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა                                      | დაფინანსება ლარებში |
|  | 06 02 13  |  | 6 500               |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური   |  |                     |
| პროგრამის აღწერა                       | ოჯახები, რომლებმაც სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლების მიერ განმეორებით შესწავლის შედეგად დაკარგეს საარსებო შემწეობის მიღების უფლება (განმეორებით შესწავლის შემდეგ სარეიტინგო ქულა აღემატება 65 000-ს), მათზე დახმარების გაწევა სარეიტინგო ქულის მინიჭებიდან ერთი წლის განმავლობაში, თუ არ წარმოემვა შეწყვეტის სხვა საფუძველი, პროგრამა ითვალისწინებს ფინანსური დახმარების გაწევას, ოჯახის თითოეულ წევრზე 30 ლარის ოდენობით. |  |                     |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მიზანი: ოჯახებმა, რომლებმაც დაკარგეს საარსებო შემწეობა და სხვა ბენეფიტები, ამ ოჯახებზე ფინანსური გასაცემლით დახმარება.<br>შედეგი: ოჯახების ფინანსური კრიზისის დაძლევის ხელშეწყობა, კმაყოფილი ოჯახები.   |  |                     |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი  | მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთათვის დახმარების მიზნობრივი პროგრამა          | დაფინანსება ლარებში |
|  | 06 02 14  |  | 44 400              |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური   |  |                     |
|  | ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სოციალური ფონის გაუმჯობესება. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო და მათ შორის შუახევის მუნიციპალიტეტის მერია სოციალურ-ეკონომიკური დახმარების მიმართულებით გარკვეულ პროგრამებს   |  |                     |





|  |  |                                  |                     |
|--|--|----------------------------------|---------------------|
| პროგრამის აღწერა                       | ახორციელებს, დღის წესრიგში კვლავ რჩება ისეთი პრობლემები როგორცაა, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა სოციალური მდგომარეობა. საქართველოს პარლამენტის მიერ 2022 წლის 09 ივნისს შევიდა ცვლილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და მარტოხელა მშობლის სტატუსის მიმღებ პირთა წრე გაიზარდა, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წლის 01 ივლისიდან, რაც გულისხმობს თუ ბავშვის ერთ-ერთი მშობელი გარდაცვლილია, მეორე მშობელი შეიძლება იყოს მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე, შესაბამისად იზრდება მიმღებ პირთა წრე. პროგრამა ითვალისწინებს ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას 100 ლარის ოდენობით. |                                  |                     |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მიზანი: მარტოხელა მშობლის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება<br>შედეგი: ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება  |                                  |                     |
| საჭირო დოკუმენტაცია:                   | <ol style="list-style-type: none"> <li>1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;</li> <li>2. მშობლის პირადობის მოწმობის ქსეროასლი;</li> <li>3. ბავშვის/ბავშვების დაბადების მოწმობის ქსეროასლი;</li> <li>4. ცნობა მარტოხელა მშობლის სტატუსის შესახებ;</li> <li>5. ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან/ცნობა მაღალმთიანი სტატუსის შესახებ;</li> <li>6. საბანკო რეკვიზიტები.</li> </ol>   |                                  |                     |
| პროგრამის დასახელება                   | კოდი   | მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები | დაფინანსება ლარებში |
|  | 06 02 15   |                                  | 1 350 293           |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური  |                                  |                     |
| პროგრამის აღწერა                       | შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრირებულია მოქალაქეთა მხრიდან შემოტანილი ათეულობით განცხადება, რომლებიც ითხოვენ გეოლოგიური დასკვის საფუძველზე ასევე ინჟინერ კონსტრუქტორის საფუძველზე საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება. გამომდინარე აქედან საჭიროა აღნიშნული პროექტის განხორციელება.   |                                  |                     |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მიზანი: შუახვევის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების შექმნა.<br>შედეგი: კმაყოფილი მოსახლეობა  |                                  |                     |
